ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6294837

ნომერი: AR1945242

თარიღი : 21.01.2023

გაცემის თარიღი : 23.01.2023

გაცნობის თარიღი : 23.01.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფეიქრების ქუჩა, N 36;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბერაია პ/ნ 01005020385
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 23-25

ნომენკლატურა :

- ავტოსერვისი
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 5540996
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 12.08.2021

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოსერვისი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ბერაია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს სამთა

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204896899
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: იოსებ ჟღენტი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01005006071

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 504.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 106.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 94.29
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 24.74
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 9.6
- .საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 59.95
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 736.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 634.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 102.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.75
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.95
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1 = 128/504 = 0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2 = 128/504 = 0.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3 = 335/504 = 0.7

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
21/01/2023 წ. AR1945242 განცხადებით მოთხოვნილია 12/08/2021წ. № 5540996 გადაწყვეტილეით პირველ კლასად შეთანხმებული ობიექტის (სასაწყობე, დამხმარე) ცვლილება მეორე კლასად (ავტოსერვისის ფუნქციით), რაც ვერ განხორციელდება, მოცემულ მიწის ნაკვეთზე არ არის დადგენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მოთხოვნილი ობიექტისთვის - ავტოსერვისი, შესაბამისად 21/01/2023 წ. AR1945242 განცხადებით მოთხოვნილი პროექტის შეთანხმება (ან/და შეთანხმებული პროექტის ცვლილება) უსაფუძვლოა.
მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა) - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა (I სტადია), არქიტექტურული პროექტის შეთანხმება (II სტადია) და მშენებლობის ნებართვის გაცემა (III სტადია). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ში.
სამრეწველო ზონა 1 (ს-1) — შერეული სამრეწველო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული

ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს;
ს-1 – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება. (კ3=0.1).
სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ში სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოა - სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საკითხზე და დააკმაყოფილოს 21/01/2023 წ. AR1945242 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.